

675-75/2
1998

1.9
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

მ ა ს ბ ე

PROCEEDINGS
ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ნ 56
(1-3)

ტომი
VOLUME
TOM

6

1998

N 1-2

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია

ვ. პაპავა (მთავარი რედაქტორი), ვ. ადვადე, გ. ადეიშვილი, თ. ბერიძე, ლ. გიორგაძე,
ა. კურატაშვილი, ი. მესხია, რ. შითაიშვილი, ნ. პაიქაძე, ა. ხილაგაძე, თ. ნიკაიძე, ლ.
ნიქავა, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ბ. ხასია**, მ. ჭიბუჭი
პასუხისმგებელი მდივანი ა. დემირხანოვა

EDITORIAL BOARD

V.Papava (Editor-in-Chief), V.Advazde, G.Adeishvili, T.Beridze, L.Chikava,
T.Chikvaldze; M:Djibouti, H.Giorgadze, **B.Khasia**, A.Kuratashvili, Y.Meskhia,
R.Mitaishvili, N.Paichadze, A.Silagadze, G.Tsereteli (Deputy Editor-in-Chief)
Executive Secretary I.Demirkhanova

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В.Г.Папавა (главный редактор), В.С.Адвადзе, Г.Г.Адеишвили,
Т.А.Беридзе, Г.Г.Гиоргадзе, М.Ч.Джибути, А.А.Кураташвили, Я.Е.Месхия,
Р.Л.Митаишвили, Н.Н.Пайчадзе, А.Н.Силагадзе, **Б.А.Хасиа**, Г.Ш.Церетели
(зам. главного редактора), Л.Л.Чихава, Т.Н.Чикваидзе
Ответственный секретарь И.С.Демирханова

380007, თბილისი, ჭიჭიძის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ. 99-68-53, 99-07-02, ფაქსი: 99-83-89

P.Gugushvili Institute
of Economics, The Georgian
Academy of Sciences,
14, Kikodze street,
Tbilisi, 380007,
Georgia
tel: (8832)996-853, (8832)990-702
Fax: (8832)998-389

Грузия
380007, Тбилиси,
ул.Кикодзе, 14
Институт Экономики
им. П. Гугушвили АН Грузии
тел: (8832) 99-68-53, (8832) 99-07-02
факс: (8832) 99-83-89

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა ა ბ გ ე

PROCEEDINGS

ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია

ECONOMIC SERIES

СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი 6, N 1-2

VOLUME 6, N 1-2

ТОМ 6, N 1-2

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
The journal is established in October, 1992
Журнал основан в октябре 1992 года

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
The journal is published 4 times a year
Выходит 4 раза в год

თბილისი "მეცნიერება"
TBILISI "METSNIEREBA"
ТБИЛИСИ "МЕЦНИЕРЕВА"
1998

შინაარსი

| | |
|--|----|
| სანაძე სერგო | |
| ეკონომიკური წონასწორობის პროგნოზულ-ანალიტიკური გაანგარიშებების სქემა და მოდელთა კომპლექსი | 3 |
| სარჩიმელია როლანდი, ხარებავა კახაბერი | |
| ფულის მასის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილების გავლენა საქონ- ლის დეფიციტზე | 12 |
| აბესაძე რამაზი | |
| ენერგეტიკული ბაზრის ფორმირებისა და მისი სახელმწიფო რეგულირების თეორიული ასპექტები პოსტსოციალისტურ ქვეყნებში | 22 |
| ლიპარტია ზურაბი | |
| აგროსამრეწველო ფირმის სტრატეგიული დაგეგმვა | 30 |
| წესები ავტორთათვის | 41 |

CONTENTS

| | |
|---|----|
| Sanadze Sergo | |
| The Forecast-Analitical Calculations Scheme of the Economical Equilibrium and Models Complex | 3 |
| Sarchimelia Roland, Kharebava Kakhaber | |
| Influence of Money Distribution on Scarcity of Products | 12 |
| Abesadze Ramaz | |
| Theoretical Aspects of the Formation of Power Market and its Regulation by the State in Post-Socialist Countries | 22 |
| Lipartia Zurab | |
| Strategic Planning of Agroindustrial Production | 30 |
| Instruction to Authors | 41 |

СОДЕРЖАНИЕ

| | |
|---|----|
| Санадзе Серго | |
| Схема прогнозно-аналитических расчетов экономического равновесия и комплекс моделей | 3 |
| Сарчимелия Роланд, Харебава Кахабер | |
| Влияние распределения денежной массы по слоям населения на дефицит товаров | 12 |
| Абесадзе Рамаз | |
| Теоретические аспекты формирования энергетического рынка и его государственного регулирования в постсоциалистических странах | 22 |
| Липартия Зураб | |
| Стратегическое планирование агропромышленного производства | 30 |
| Правила для авторов | 41 |



ეკონომიკური წონასწორობის პროგნოზულ-ანალიტიკური გაანგარიშებების სქემა და მოდელთა კომპლექსი

ხანაძე ხერგო

380008, თბილისი, ზანდუკელის 16

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან

არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

შემოვიდა 1997 წლის 15 დეკემბერს

21160

რეზიუმე. სტატიაში შემოთავაზებულია პროგნოზულ-ანალიტიკური გათვლების სქემა, რომელშიც ასახულია ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების კომპლექსის საფუძველზე რეალიზებადი სათანადო პროცედურების ლოგიკური თანმიმდევრობა.

დასახიათებულია კომპლექსში შემაველი ძირითადი მოდელები. მოდელთა კომპლექსში ცენტრალური ადგილი განეკუთვნება დანახარჯები-გამოშვება მოდელს. ამასთან ერთად, შემოთავაზებულია ამ მოდელის ისეთი სქემა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომეტრიკული მოდელების და ფინანსური ბალანსების ინტეგრაციას გაანგარიშებათა ერთიან ციკლში.

სტატიაში ასახულია რეალური ინფორმაციის საფუძველზე შემოთავაზებული დანახარჯები-გამოშვება მოდელის ექსპერიმენტული გაანგარიშების ძირითადი შედეგები. მოცემულია მიღებულ შედეგების შეფასება.


ეკონომიკური წონასწორობის პროგნოზულ-ანალიტიკური გაანგარიშების პროცესის თვალსაზრისით წარმოდგენის მიზნით შემუშავებულია სათანადო პროცედურების ლოგიკური თანმიმდევრობის ამსახველი ტექნოლოგიური სქემა (სქემა 1). სქემაზე ასახულია მხოლოდ საკანძო პროცედურები და მათ შორის ურთიერთკავშირები.

პროგნოზულ-ანალიტიკური გათვლები იწყება ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის ანალიზით, რაც მიზნად ისახავს უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების შესწავლას, ტენდენციების გამოვლენას, მათ ანალიზს და ამყარებს მიღწეული დონის (სასტატო მდგომარეობის) შეფასებას.

ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანალიზის შედეგად მიღებული შეფასებანი და დასკვნები საფუძვლად ედება საქართველოს სამეურნეო კომპლექსის სტრუქტურაში არსებული ნაკლოვანებების, დეფორმაციებისა და დისბალანსების აღმოფხვრის მიზნით რაციონალური სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავებას და სათანადო პრიორიტეტების განსაზღვრას. ამავ დროს მხედველობაში მიიღება, რესპუბლიკის მოსახლეობის პროგნოზი, რესურსული პოტენციალის პროგნოზული შეფასებანი, რომლებიც დამუშავებულია ფუნქციონალური უწყებების, მეცნიერებათა აკადემიისა და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ. განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა გამოყოფისას მხედველობაში მიიღება ექსპერტთა მოსაზრებები და დასკვნები. ექსპერტთა როლში ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათა წამყვან სპეციალისტებთან ერთად შეიძლება მოგვევლინონ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების სპეციალისტებიც. ანალიზისა და პროგნოზირების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია განვითარებისათვის საჭირო ფინანსური წყაროების დადგენა და ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემაში უკანასკნელ წლებში მომხდარი რადიკალური გარდაქმნის მნიშვნელობის, აგრეთვე მისი შემდგომი განვითარების პროგნოზირების

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო
ბიბლიოთეკა

ეკონომიკური წონასწორობის პროგნოზულ-ანალიტიკური
გაანგარიშებების ტექნოლოგიური სქემა



სქემა 1.

სწორი შეფასება. ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის უკვე გამოკვეთილი ტენდენციები საშუალებას იძლევიან უახლოეს პერიოდში განისაზღვროს უცხოური დაფინანსების საგარეულო წყაროები და ფინანსური რესურსების ოდენობა, რომელიც მოსალოდნელია მიღებულ იქნას ღრმა ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის, სტრუქტურული რეორგანიზაციისა და მწვავე სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

წინასაპროგნოზო პერიოდის ანალიზისა და შეფასებების მოცემულ სტადიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განვითარების შესაძლო მიმართულებათა ექსპერტულ შეფასებას და განვითარების სცენარების ფორმირებას. აქ მოკლედ გვინდა შევჩერდეთ ეკონომიკური და სოციალური პროგნოზირების სცენარულ მიდგომაზე, რომელიც ჩვენს სინამდვილეში ნაკლებად გამოიყენებოდა.

სცენარის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური და სოციალური განვითარების პიოთეზების. შინაარსობრივი აღწერა და მისი შესაბამისი ეგზოგენური პარამეტრების ფორმირება მოდელთა კომპლექსისათვის. გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი განვითარების ალტერნატიული ვარიანტები სწორედ სცენარების სახით ჩამოყალიბდება. მოსალოდნელი ცვლილებები განვითარების ამა თუ იმ პარამეტრებში, მოდელური გაანგარიშების საშუალებით, აისახება ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლების და ხარჯების ბალანსებში, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ეკონომიკის შეწონასწორებულ განვითარების საერთო მდგომარეობაზე.

ეკონომიკური სუბიექტების საბოლოო მოხმარების პარამეტრები პერსონალიზირდება დანახარჯები-გამომეება მოდელის დარგების საბოლოო პროდუქტების სახით. ამ პარამეტრების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პრაორაციები მიმდინარე მოხმარებასა და ინვესტიციებს შორის, მატერიალურ მოხმარებასა და მომსახურებას შორის, ექსპორტსა და იმპორტს შორის და სხვა. ამ მიზნით კომპლექსურ გათვლებში გამოიყენება მულტიპლიკაციური და ფაქტორული მოდელები, აგრეთვე მოდელები, რომლებიც ითვალისწინებენ ელასტიურობის კოეფიციენტებს შემოსავლებსა და მოხმარებას შორის, შრომის ანაზღაურებასა და ფასებს შორის.

მატერიალური და შრომითი რესურსების, აგრეთვე ძირითადი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ცვლილების ვარიანტების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ უახლეს პერიოდში ნედლეულსა და მასალებზე ფასების მოსალოდნელი ცვლილებები, უნდა ვიფიქროთ, ხელს არ შეუწყობს ეფექტიანობის მაჩვენებლების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ეფექტიანობის მაჩვენებლების შედარებით გაუმჯობესება ძირითადად მიღწეული იქნება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მოპირნეობისა და ეკონომიის, რესურსების რაციონალურად გამოყენების ხარჯზე. რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელთა რაოდენობრივი პარამეტრები გაანგარიშების ნებისმიერ ეტაპზე ექვემდებარება დაზუსტებას და კორექტირებას ახალი ინფორმაციის საფუძველზე ან ექსპერტული შეფასების გზით. პროგნოზულ-ანალიტიკური გათვლების მომდევნო ეტაპზე, ანუ მას შემდეგ რაც განისაზღვრება საბოლოო პროდუქტის მოცულობა და სტრუქტურა, აგრეთვე ეფექტიანობის მაჩვენებლები, ხორციელდება მატერიალური და ძირითადი ფინანსური პარამეტრების ვარიანტების გაანგარიშება მოდელთა კომპლექსის გამოყენებით. აღნიშნული პარამეტრები საფუძვლად ედება საოჯახო მეურნეობების, ფირმების, ფულად-საკრედიტო სისტემის და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშებას. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება ეკონომიკის მარეგულირებელი პარამეტრების ფორმირება, დაზუსტება, თუ კორექტირება.

პროგნოზულ-ანალიტიკურ გათვლებს აქვს არა ერთჯერადი არამედ ციკლური ხასიათი, რაც მოხერხებულად და ოპერატიულად ხორციელდება მოდელური აპარა-

ტის მეშვეობით, პერსონალურ კომპიუტერზე სპეციალურად შექმნილი პროგრამული საშუალებების გამოყენებით.

ეკონომიკური წონასწორობის მოდელთა კომპლექსის ფორმირება მიზნად ისახავს ისეთი სამუშაო ინსტრუმენტარის შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს დამუშავებელს ზემოთ აღწერილი სტეპის მიხედვით განახორციელოს გაანგარიშებათა სრული ციკლი ან მოკცემულ მომენტში უფრო საინტერესო რომელიმე ფრაგმენტი. სხვადასხვა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც არსებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდური და პრაქტიკული წინამძღვრები, აგრეთვე თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა ამის კარგ შესაძლებლობებს ქნის.

ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დასმული ამოცანის შინაარსი მოითხოვს სახელდობრ მოდელთა კომპლექსის გამოყენებას, რადგან ერთის მხრივ ცალკე აღებულ რომელიმე მოდელში ფაქტობრივად შეუძლებელია სხვადასხვა დონეზე გადასაწყვეტ ამოცანათა მთელი სპექტრის მოქცევა, ხოლო მეორეს მხრივ, სხვადასხვა ტიპის მოდელების კომპლექსურად გამოყენება ავსებს თითოეული მათგანის ხარვეზებს და ამაღლებს პროგნოზული პარამეტრების დასაბუთების ხარისხს. ასე მაგალითად, მსოფლიო მასშტაბით პრაქტიკაში ყველაზე უფრო აპრობირებული მოდელებიდან ყოფილ საბჭოთა სივრცეში უპირატესობით სარგებლობდა საბალანსო მოდელების დამუშავება, დასავლეთის ქვეყნებში კი პრიორიტეტი ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენებას ენიჭებოდა. მაგრამ, ცნობილია, რომ ეკონომეტრიკული (ფაქტორული) მოდელები ვერ უზრუნველყოფენ მატერიალურ-ფინანსური პროპორციების მთლიანობაში წარმოდგენას და საერთო დაბალანსებულობის უზრუნველყოფას. ისევე, როგორც საბალანსო მოდელების საშუალებით ნაკლებად აისახება მატერიალურ-ფინანსური წონასწორობის ფაქტორები და მარეგულირებელი ინსტრუმენტარი. ამრიგად, სპეციალისტთა საერთო შეხედულებაა და ჩვენი მიდგომაც ამას ეყრდნობა, მოდელთა კომპლექსი ისე აიგოს რომ, მასში შერწყმული იყოს ეკონომეტრიკული და საბალანსო მიდგომების ღირსებები.

აქედან გამომდინარეობს მოდელთა კომპლექსის ფორმირების ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი - მეშვიდრობითობა. მოდელთა კომპლექსის ფორმირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ის პოზიტიური მომენტები, რაც ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების თეორიას და პრაქტიკას დღემდე შეუქმნია ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

შემდგომი მთავარი პრინციპი, რომელსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს, არის ადეკვატურობის პრინციპი. მოდელთა კომპლექსში შემავალი თითოეული მოდელი იმ სიღრმით და სისუსტით უნდა ასახავდეს რეალურ ეკონომიკურ სინამდვილეს და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, რომ გაანგარიშებებით მიღებული შედეგები სანდო და მისაღები იყოს მომხმარებლისათვის. ამავე დროს დაკლებული უნდა იყოს მოდელების მარტივად აგების პრინციპები, რა თქმა უნდა არა ადეკვატურობის საზიანოდ. სიმარტივემ ხელი უნდა შეუწყოს მოდელის ოპერატიულად დამუშავებას და მომხმარებლის მიერ მისი გამოყენების პროცედურების ადვილად ათვისებას. ამ პრინციპის რეალიზაცია უნდა მოხდეს მოდელებში უპირატესად წრფივი პარამეტრების გამოყენებით, რეკურენტულობით, აგრეთვე მოდელების მაქსიმალური ორიენტაციით ოფიციალური სტატისტიკური და ფუნქციონალური ინფორმაციის გამოყენებაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მოდელთა კომპლექსის მოხერხებულად გამოყენების პირობების შექმნა. აქ პირველ რიგში იგულისხმება სრულყოფილი პროგრამული სერვისის დამუშავება და ალგორითმების ბიბლიოთეკის ფორმირება. განვითარების სხვადასხვა სტადიების შესაბამისად მომხმარებელს უნდა შეეძლოს მოქნილად გამოიყენოს მოდელის სხვადასხვა მოდიფიკაცია თუ ვერსია. ამავე დროს თითოეული მოდელის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას სტენდერული მოდელირების პრინციპები.

ბი, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს ოპერატიულად შეცვალოს მოდელის ეს თუ ის ბლოკი მოცემულ სიტუაციისათვის უფრო მისადაგებელი ბლოკით.

მოკლედ მიმოვიხილოთ ის მოდელეები, რომლებიც ეტაპობრივად ჩაართვებიან მოდელთა კომპლექსში მათი დამუშავების დონის და ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინებით. ეკონომეტრიკული, მაღალ აგრეგირებული მოდელების გამოყენება გათვალისწინებულია პროგნოზულ-ანალიტიკური გათვლების საწყის სტადიაზე. ცალკეული გამსხვილებული სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მოდელეები ძირითადად ეყრდნობიან სტატისტიკური დინამიკური მჭკრივების ფაქტორულ ანალიზს და ექსტრაპოლაციას. ამის გამო ნაკლებ ეფექტურნი არიან როცა საქმე გვაქვს ნახტომისებურ დინამიკასთან და შესაბამისად არათანაბარზომიერ დინამიკურ მჭკრივებთან. ამდენად, საქართველოს ეკონომიკაში მთელი რიგი მაჩვენებლებისა და განსაკუთრებით წარმოების შედეგების ამსახველ პარამეტრების პროგნოზირებაში უკანასკნელი 7-10 წლიანი პერიოდის მონაცემების მიხედვით მათი გამოყენების არეალი შეზღუდულია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციასთან ერთად ეს პრობლემებიც თანდათან შერბილდება.

1 სტემაზე წარმოდგენილ გაანგარიშებათა ტექნოლოგიურ პროცესში ცენტრალური ადგილი ეკუთვნის დანახარჯები-გამოშვება მოდელის და ეკონომიკური სუბიექტების შემოსავლებისა და ხარჯების საბალანსო გაანგარიშებათა ალგორითმებს. კვლევის მოცემულ სტადიაზე გამიზნულია დანახარჯები-გამოშვება მოდელის ისეთი სტემაში დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომეტრიკული ტიპის მოდელეებთან და ფინანსური ბალანსების ალგორითმებთან მის ინტეგრაციას. ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპების და სხვადასხვა მოთხოვნების გათვალისწინებით საყრდენი მოდელის ამოსავალი სტემა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს (იხ. სტემა 2).

აგრეგირებული დანახარჯები-გამოშვება მოდელის სამუშაო ვარიანტი ამჟამად ორიენტირებულია მატერიალური და არამატერიალური წარმოების 16 დარგის ქროლში გათვლების ჩასატარებლად. საქორეობისა და ინფორმაციული შესაძლებლობების მიხედვით დარგთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. მოცემულ ეტაპზე დარგობრივი ნომენკლატურა ასე გამოიყურება:

1. ელექტროენერგეტიკა;
2. სათბობის მრეწველობა;
3. მეტალურგია;
4. ქიმიური მრეწველობა;
5. მანქანათმშენებლობა;
6. ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობა;
7. საშენ მასალათა მრეწველობა;
8. მსუბუქი მრეწველობა;
9. კვების მრეწველობა;
10. მრეწველობის სხვა დარგები;
11. სოფლის მეურნეობა;
12. მშენებლობა;
13. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
14. ვაჭრობა;
15. მატერიალური წარმოების სხვა დარგები;
16. არამატერიალური წარმოება.

მოცემული დარგობრივი სტრუქტურის არსებითი განსხვავება ადრე მოქმედისაგან მატერიალური წარმოების დარგებთან ერთად, არამატერიალური წარმოების ასახვით გამოიხატება. საქმე იმაშია, რომ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით მწარმოებელურ დარგებს მიეკუთვნება შემოსავლის მომტანი საქმიანობის ნებისმიერი ფორმა. აქედან გამომდინარე, მოდელის ნომენკლატურაში აუცილებე-

საქართველოს მატერიალური ბუნების მეცნიერებათა აკადემიის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის პროგრამის შედეგების ანგარიშის მეთოდი

| შედეგების ანგარიშის მეთოდი | საბოლოო მონიტორინგის შედეგების ანგარიშის მეთოდი | | | | | | | | | | შედეგების ანგარიშის მეთოდი | |
|----------------------------|---|---------------|-----|---------------|--------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|----------------------------|------------|
| | (01) | (02) | ... | (n) | სულ | შედეგების ანგარიშის მეთოდი | შედეგების ანგარიშის მეთოდი | შედეგების ანგარიშის მეთოდი | შედეგების ანგარიშის მეთოდი | შედეგების ანგარიშის მეთოდი | | |
| (01) | X_{11} | X_{12} | ... | X_{1n} | $\sum X_{1j}$ | C_1 | I_1 | G_1 | E_1 | M_1 | Z_1 | X_1 |
| (02) | X_{21} | X_{22} | ... | X_{2n} | $\sum X_{2j}$ | C_2 | I_2 | G_2 | E_2 | M_2 | Z_2 | X_2 |
| ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... |
| (n) | X_{n1} | X_{n2} | ... | X_{nn} | $\sum X_{nj}$ | C_n | I_n | G_n | E_n | M_n | Z_n | X_n |
| სულ | $\sum X_{1j}$ | $\sum X_{2j}$ | ... | $\sum X_{nj}$ | $\sum \sum X_{ij}$ | $\sum C_i$ | $\sum I_i$ | $\sum G_i$ | $\sum E_i$ | $\sum M_i$ | $\sum Z_i$ | $\sum X_i$ |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | H_1 | H_2 | ... | H_n | $\sum H_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | W_1 | W_2 | ... | W_n | $\sum W_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | L_1 | L_2 | ... | L_n | $\sum L_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | P_1 | P_2 | ... | P_n | $\sum P_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | T_1 | T_2 | ... | T_n | $\sum T_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | A_1 | A_2 | ... | A_n | $\sum A_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | O_1 | O_2 | ... | O_n | $\sum O_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | V_1 | V_2 | ... | V_n | $\sum V_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | Y_1 | Y_2 | ... | Y_n | $\sum Y_j$ | | | | | | | |
| შედეგების ანგარიშის მეთოდი | X_1 | X_2 | ... | X_n | $\sum X_j$ | | | | | | | |

ლი გახდა ადრე ტრადიციულად არაწარმოებით სფეროში გაერთიანებული დარგების ჩართვა. ამრიგად, აგრეგირებულ პოზიციაში "არამატერიალური წარმოება" გაერთიანებულია ჟანდაცვა, განათლება, სამგზავრო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობის მომსახურება, გეოლოგია, საბანკო მომსახურება და სხვა დარგები, რომელთა პროდუქციაც ადრე დარგთაშორისი ბალანსის საბოლოო პროდუქტის შემადგენლობაში აისახებოდა.

გარდა ამისა მოცემულ სტემაში გამოიყვანა არის წარმოდგენილი წმინდა პროდუქცია:

$$V_j = W_j + L_j + P_j + T_j + A_j + O_j,$$

სადაც

- V_j - არის წმინდა პროდუქცია;
- W_j - ხელფასი და ხელფასის ტიპის შემოსავლები;
- L_j - ხელფასზე დანარიცხები;
- P_j - მოგება;
- T_j - დამატებული ღირებულების გადასახადები და აკციზები;
- A_j - სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში გადასახადები;
- O_j - დამატებული ღირებულების სხვა ელემენტები.

წმინდა პროდუქციის ასეთ კრილში წარმოდგენა გარდა იმისა, რომ ამდღერბს პროგნოზული დანახარები-გამოშვება მოდელით მიღებული შედეგების ანალიზის შესაძლებლობებს, აუცილებელია დანახარები-გამოშვება მოდელის ინტეგრირებისათვის საოჯახო მეურნეობების, ფირმების, საფინანსო-საკრედიტო სისტემის და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ბალანსებთან.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მოთხოვნათა გათვალისწინებით გარკვეული კორექტირება განიცადა საბოლოო პროდუქტის შინაარსმა და გაანგარიშების სტრუქტურამ. საბოლოო პროდუქტი მოცემულ სტემაში წარმოდგენილია შემდეგი ელემენტების მიხედვით:

$$Z_i = C_i + I_i + G_i + E_i - M_i,$$

სადაც

- Z_i - არის საბოლოო პროდუქტი;
- C_i - საოჯახო მეურნეობის ინდივიდუალური მოხმარება;
- I_i - ინვესტიციები;
- G_i - სახელმწიფო მოხმარება;
- E_i - ექსპორტი;
- M_i - იმპორტი.

აღნიშნული მოდელის ექსპერიმენტული გაანგარიშებები განხორციელდა 1998 წლის ინდიკატური გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემების გამოყენებით. კერძოდ, გაანგარიშებებს საფუძვლად დაედო ჭევენის მოსახლეობის და სახელმწიფო მოხმარების დარგობრივი სტრუქტურის, ინვესტიციების, წმინდა ექსპორტის, დარგებში მატერიალური დანახარების და დარგთაშორისი კავშირების ამსახველი კოეფიციენტების, აგრეთვე დარგების პროდუქციის მთლიან მოცულობაში დამატებული ღირებულების ძირითადი ელემენტების ხვედრითი წილის ამსახველი კოეფიციენტების ექსპერტულ-პროგნოზული შეფასებები. მოცემულ ეტაპზე ინფორმაციული ბაზის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციონალური ჭევედაწყობების, ეკონომიკური და

სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს, ჭვეყანაში მომუშავე საერთაშორისო ეკონომიკური სამსახურების მონაცემები, გამოყენებულ იქნა აგრეთვე მონაცემები, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოში დარგთაშორისი ბალანსების დამუშავების შედეგად გროვდებოდა. ამ ბაზაზე დაყრდნობით, ექსტრაპოლაციის, ფაქტორული ანალიზისა და ექსპერტული კორექტირების შედეგად ფორმირებულ იქნა ამოსავალი ინფორმაცია ექსპერიმენტული გათვლებისათვის. გათვლები განხორციელდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს პროგნოზირების ცენტრის სპეციალისტების მიერ მომზადებული პროგრამული საშუალებების მიხედვით.

ექსპერიმენტულმა გათვლებმა დაადასტურა დანახარჯები-გამოშვება მოდელის საყრდენი ვარიანტის რეალურ სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების და დამუშავებული პროგრამული საშუალებების მოქნილად გამოყენების შესაძლებლობანი.

The Forecast-Analitical Calculations Scheme of the Economical Equilibrium and Models Complex

Sanadze Sergo
 Scientific-Research Institute of
 the Economic and Social Problems
 at the Ministry of Economics
 16, Zandukeli Str.
 Tbilisi, 380008
 Georgia

Summary. The technological scheme of the forecast-analitical calculations reflected the logical sequence of corresponding procedures realization based on the economic-mathematical models complex is proposed in this article.

The basic models including into the complex are characterized. The "Input-Output" models are foundation of this complex. Besides the scheme of this model providing the integration of the econometric models and the financy balance models in the united cycle of the forecast-analitical calculations is proposed.

The basic results of experimental calculations of the proposed scheme of "Input-Output" model by using the real information are reflected in this article. The estimation of the receiving results is given.

Схема прогнозно-аналитических расчетов экономического равновесия и комплекс моделей

Санадзе Серго

380008, Тбилиси

ул. Зандукели 16

Научно-исследовательский институт
экономических и социальных проблем
Министерства экономики Грузии

Резюме. В статье предлагается технологическая схема прогнозно-аналитических расчетов, отражающая логическую последовательность реализации соответствующих процедур на основе комплекса экономико-математических моделей.

Охарактеризованы основные модели, входящие в комплекс. Основой комплекса моделей является модель "затраты-выпуск". При этом предлагается такая схема этой модели, которая обеспечивает интеграцию эконометрических моделей и моделей финансовых балансов в единый цикл прогнозно-аналитических расчетов.

В статье отражены основные результаты экспериментальных расчетов предложенной схемы модели "затраты-выпуск" с привлечением реальной исходной информации. Дается оценка полученных результатов.

ფულის მასის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილების გაკვლევა საქონლის დეფიციტზე

სარჩიმელია როლანდი, სარებავა კახაბერი
 380007, თბილისი, ქიქოძის ქ. 14
 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
 პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
 შემოვიდა 1997 წლის 14 ოქტომბერს

რეზიუმე. განხილულია მოსახლეობის ფენების მიხედვით (მდიდრები; საშუალო ფენა, ღარიბები) ფულის მასის განაწილების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების ამოცანა, მასში ჩართულია ნაღდი ფულის განაწილების ვარიანტების გაკვლევა საქონლის დეფიციტზე, რაც წარმოდგენილია მოსახლეობის ფენების მიხედვით საქონელზე შოთხოვნის განაწილებისა და ცვლილების საილუსტრაციო ვარიანტებით.

მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესებთან შესაბამისობაში დახასიათებულია ფულის მასის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილების, მისი საქონლის დეფიციტზე ზემოქმედების რეგულირებისა და მოდელირების საწყისები.

მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ ეტაპზე საქონლისა და მომსახურების მწვავე დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება მოთხოვნისა და მიწოდების საქონლის ფასთან დამოკიდებულებით სარგებლობა. ამ მიმართულებით მონაცემთა არასაკმარისობა კიდევ უფრო აართულებს პროგნოზირების მეთოდების გამოყენებას. ამდენად, წინა პლანზე გამოიწვევთ მოსახლეობის ფენების მიხედვით ფულის მასის განაწილების საქონლის დეფიციტზე გაკვლევის კვლევას. ამასთან დაკავშირებით, ზუსტდება დეფიციტურობის, როგორც პროდუქციისა და მის საწარმოებლად საჭირო რესურსების დეფიციტის კვლავწარმოების განმარტება, რომელთანაც შესაბამისობაში დეფიციტური ეკონომიკა შეფასებულია, როგორც ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ღრმა სტრუქტურული ძვრებისა და რეფორმების გარეშე შეუძლებელია დეფიციტის კვლავწარმოების აღმოფხვრა.

ამ განმარტებასთან კავშირში ტერმინები ფულის მასა, კონკრეტულად ნაღდი ფული, ნათლად წარმოაჩენენ ფულის მოძრაობის გაკვლევას საქონლის დეფიციტზე (ამასთან ერთად შეიძლება ისეთი ტერმინების გამოყენებაც როგორცაა რეალური ან ბრუნვაში მყოფი ფული).

გარდა ამ განმარტებისა მოსახლეობის ფენების სიმდიდრის მიხედვით აპრიორულ ეკონომიკაცია არ გამოგვადგება, საჭიროა განმარტებები დაზუსტდეს დეფიციტთან მიმართებაში, როგორცაა მოსახლეობის ღარიბი ფენა, როდესაც მათი ყოველდღიური არსებობისათვის ძირითადი მოთხოვნილებები მოთხოვნას ბევრად აღემატება. იმდენად, რომ მათ ხელთ არსებული სახსრებით გაძნელებულია მათი ფიზიკური არსებობის შენარჩუნება. მდიდარი ფენებისათვის კი იშვიათია საქონლისა და მომსახურების დეფიციტით გამოწვეული სიძინელები.

საზოგადოების ეკონომიკური პრობლემები გადაიჭრება მხოლოდ სამართლიანობისა და თანასწორობის პირობებში. რაც არ ემთხვევა გამოთანაბრებას, თუმცა შეიძლება საზოგადოების მოთხოვნილების გასაშუალებელი წარმოდგენის შედეგიც იყოს. ამის შესაბამისობაში დაისმის ამოცანა: მინიმუმამდე იქნას დაყვანილი კეთილსინდისიერი მწარმოებლური შრომისათვის მიუღებელი ნეგატიური პროცესები. ასეთი თვალსაზრისით მოსახლეობის ფენების მიხედვით თუნდაც პირ-

ობით დაყოფა, უმჯობესია შედარების პრინციპით არ ჩავატაროთ, ამ შემთხვევაში უპირატესობას აბსოლუტურ კრიტერიუმს ვანიჭებთ. მაგალითად, იმის შემდგომად, როდესაც განმარტებულია მოსახლეობის მდიდარი და ღარიბი ფენები, მოსახლეობის საშუალო ფენა მთლიანის გასაშუალებული წარმოდგენით ფასდება. იგი შედარებითია, და დამოკიდებულია მთელი საზოგადოების (მოსახლეობის, სახელმწიფოს) სიმდიდრეზე, ფულის მასისა და ამასთან ნაღდი ფულის განაწილებაზე მოსახლეობის ფენებში, რაც ფულს დეფიციტის სიმწვევასაც. საქონლის დეფიციტის სიმწვევე მოქმედებს მოსახლეობის საშუალო ფენაზე, მათი ღარიბ ფენაში გადასვლის პირობების შექმნით და მდიდრების კიდევ უფრო გამდიდრების ცალკეული შემთხვევით. შესაბამისად ნაღდი ფულის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილება აისახება საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობაზე, ამასთან საქონლის დეფიციტის შეფასებაზედაც. მოსახლეობაში ფენების მიხედვით ნაღდი ფულის განაწილებას გავლენა აქვს საქონლის მოთხოვნილებიდან მოთხოვნისა და დეფიციტის შეფასებაზე. ამის თვალსაჩინო მაგალითი მოცემულია ცხრილ 1-ში. როდესაც ნაღდი ფულის გაორკეცებით ვარიანტი 1.1-დან ვარიანტი 1.2-ში საქონლის 100 ერთეულით სიჭარბე შეიცვალა მისი 200 ერთეულით დეფიციტით (ანალოგიური სურათი ვლინდება 2.2-ისა და 2.1 ვარიანტების შედარებითაც) საერთოდ ნაღდი ფულის შემცირებით შეიქმნება საქონლის ხელმოკლეობა სიჭარბის სურათით. რაც შეიძლება ასევე მისი მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილების სტრუქტურის ცვლილებითაც მოხდეს, როდესაც ნაღდი ფული შემუშვებულ შემთხვევაში მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებს.

მოსახლეობის ფართო მასისათვის აუცილებელ, ამასთან მათთვის ხელმისაწვდომ ფაქტორში არსებულ ყოველდღიური მოხმარების საგნებზე დეფიციტის ფაქტი რეალურ პროცესში კონკრეტული მონაცემებით დგინდება. მათი პროგნოზული შეფასება მონაცემთა არასაკმარისობის გამო შეუძლებელია. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მონაცემები ფულის მასის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილებაზე მჭირია, რის გამოც ამ მიმართულების კანონზომიერების დადგენაც გაძნელებულია.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება დისკუსია საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახის მონაცემები საქონლი იმისათვის, რომ მოსახლეობაში ნაღდი ფულის განაწილების მიხედვით გაეარკვიოთ საქონლის დეფიციტის შეფასების დამოუკიდებელმა ფულის დეფიციტთან. ამის თვალსაჩინო მაგალითია ცხრილი 1, სადაც მოცემულია ნაღდი ფულის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილებისა და პირობითი საქონელზე მოთხოვნის განაწილების საილუსტრაციო ვარიანტები (პირობითი საქონელია, ამ შემთხვევაში, ვთქვათ გამომცხვარი პური ერთ კაცზე, მოთხოვნილების მაქსიმუმით 20 ცალი ნორმით თვეში). პირობითად მოსახლეობის რიცხოვნობა იყოს 100 კაცი, რომელიც ასევე პროცენტული თანაფარდობითაა გაიანახული.

ცხრილ 1-ში მოცემული ვარიანტებით ნათლად ვლინდება ნაღდი ფულის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილების ცვლილების გავლენა საქონლის დეფიციტსა და მის სიჭარბეზე. ეს ცვლილებები საილუსტრაციო ცხრილი 1-ით შეიძლება დეახსიათათ, საქონლისა და მომსახურების დეფიციტზე რეალურ მონაცემთა არასაკმარისობის გამო კი მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის პირობების დადგენა შეუძლებელი ხდება. თუმცა შეიძლება შემოსავლების სტატისტიკის საფუძველზე ფულის მასის განაწილების უთანასწორობის ინდექსის გამოვლენა, სადაც არაკმატად სახით მოსახლეობის ფენების მიხედვით მათი განაწილება განაწილებას. მაგრამ ეს არაა საკმარისი, რეგი მიზეზების გამო. მათ შორისაა ჩრდილოვანი ეკონომიკის გავლენაც. თავის მხრივ ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართო მასშტაბებიც კი ოფიციალურ აღრიცხვას არ ექვემდებარება. ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახურის ვარაუდით და სსდს შეფასებით არარეგისტრირ

ებულო ეკონომიკა საქართველოში 1996 წლისათვის მთლიანის 40%-ს შეადგენდა
[1, გვ. 3. 5. 11.]

ნაღდი ფულის მოსახლეობის ფენების მიხედვით და პირობით
სამონეტო მოთხოვნის ბანაწილების საილუსტრაციო ვარიანტები
(დროის კვირადი მართი თვა)

ცხრილი 1.

| N | განაწილების სახე | ერთეუ- ლი | სულ | მოსახლეობის ფენები | | |
|-----|---|--------------|------|--------------------|---------------|---------------|
| | | | | მდიდარი | საშუ- ალო | ღარიბი |
| 1.0 | მოსახლეობის რიცხვი | % | 100 | 5 | 35 | 60 |
| | მაქსიმალური მოთხოვ- ნილება საქონელზე | ცალი | 2000 | 100 | 700 | 1200 |
| 1.1 | ნაღდი ფული | ლარი | 1000 | 700 | 200 | 100 |
| | საქონელზე მოთხოვნა | ცალი | 400 | 100 | 200 | 100 |
| | მიწოდება | ცალი | 500 | 100 | საქონე- ლი | ჭარბია |
| 1.2 | ნაღდი ფული | ლარი | 2000 | 1400 | 400 | 200 |
| | საქონელზე მოთხოვნა | ცალი | 700 | 100 | 400 | 200 |
| | მიწოდება | ცალი | 500 | -200 | საქონე- ლი | დეფიცი- ტი |
| 2.0 | ოჯახების რიცხვი | % | 100 | 10 | 38 | 52 |
| | სიმდიდრე | % | 100 | 65.5 | 33.5 | 1 |
| | ყოველთვიური სამომხმარებლო კალათა | ლარი | 51.4 | 340 | 40 | 10 |
| | მაქსიმალური მოთხოვ- ნილება საქონელზე | ცალი | 2000 | 200 | 760 | 1040 |
| 2.1 | ნაღდი ფული | ლარი | 1000 | 600 | 250 | 150 |
| | საქონელზე მოთხოვნა | ცალი | 600 | 200 | 250 | 150 |
| | მიწოდება | ცალი | 500 | -100 | საქონე- ლი | დეფიცი- ტი |
| 2.2 | ნაღდი ფული | ლარი | 400 | 240 | 100 | 60 |
| | საქონელზე მოთხოვნა | ცალი | 360 | 200 | 100 | 60 |
| | მიწოდება | ცალი | 500 | 140 | საქონე- ლი | ჭარბია |

დეფიციტური ეკონომიკის წარმომშობ მიზეზებში კრიმინალურ ეკონომიკას აქვს დიდი წილი. მისი 'საკვები' დეფიციტია, 'თავშესაფარი' დეფიციტური ეკონომიკა. თუმცა მათი გამოვლენის ოფიციალურ მონაცემთა მოპოვება-დამუშავების სისტემა არაა სრულყოფილი. ძველი პრინციპები ინერციით ისევ მოქმედებს: სისტემის ცალკეული ნაწილი არაა წონასწორობაში, აქვს ავტონომიურობა და მაინც სხვა ნაწილების ბარჯზე იმყოფება, რის გამოაშკარავებასაც 'ერიდებიან'. ამიტომ ასეთი სისტემის ცალკეული ნაწილი ინიღბება და არ იძლევა თავისი ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას. ამას ისიც აძლიერებს, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების დეფიციტურ ეკონომიკაში მოთხოვნისა და მიწოდების ნაცვლად ჯერ კიდევ მოქმედებენ განაწილებისა და მოხმარების წესები, რომლებიც 'მართა-

ვენ¹ დეფიციტს ისე, რომ ბიუროკრატიის გამდიდრების პირობებს ქნიათ. ამდენად, მოქმედებს დეფიციტური ეკონომიკისაგან თითქოს დამოუკიდებელი, სინამდვილეში დეფიციტის კვლავწარმოების ხელშემწყობი პროცესები. გამომდინარე ფულის მასის მოსახლეობაში განაწილება ცალკე განხილვას მოითხოვს, რათა გამოვლინდეს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთობის პროცესის თავისებურებანი დეფიციტურ ეკონომიკაში¹.

საქმე იმაშია, რომ საქონლისა და ხაზუმთა ადგილის დეფიციტის მიზეზით ადგილი აქვს ფასების მექანიზმის შესუსტებას, რომლის შედეგია მოსახლეობის ფართო მასის საქონლის დაბალი მსყიდველუნარიანობა. ამიტომ მოთხოვნის მიწოდებასთან წონასწორობაში მოსახლეობის მხოლოდ მდიდარი ფენა ჩაერთვება, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ეჭვის ქვეშ დგება.

ზემოთ მოტანილი საკითხები მიმართულია იმის გასარკვევად, თუ როგორ მოქმედებს ფულის მასის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილება და გადაწილება საქონლის დეფიციტისა და სიჭარბის შეფასებებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს თითქმის არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს. მოსახლეობის ფენების მიხედვით ფულის მასის მიზანდასახული განაწილების მართვაში. ამ შემთხვევისას და საერთოდ პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის სახელმწიფო კონტროლის გზა, დეფიციტურ ეკონომიკაში კიდევ უფრო მეტად აუცილებელია [2].

ფულის მასის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილების პროცესის მოდელირება და მისი რეგულირების პრინციპების შემუშავება ბუნებრივად საშუალებას მოგვცემს საქონლის მოთხოვნა და მიწოდება გამოვივლიოთ საქონლის დეფიციტთან მიმართებაში, ამასთან ერთად საჭირო ხდება გამოიყოს შემთხვევები: როდესაც საბაზრო ეკონომიკა არეგულირებს ფულის მასის განაწილებას მოსახლეობის ფენების მიხედვით, როდესაც ამას აწესრიგებს სახელმწიფო. ან ხდება მასში ნაწილობრივი ჩარევა. მოსალოდნელია უფრო მძიმე შემთხვევა, როდესაც პროცესი თვითდინებაზე მიშველებული და მასში შემთხვევითი ძალები ერევიან, რაც ჩრდილოვანი ეკონომიკის "მოღაწეობის" ასპარეზი ხდება, კიდევ უარევი შემთხვევისას კრიმინალური ეკონომიკა იწყებს გაბატონებას.

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილსა და ამ ცხრილთან დაკავშირებული ნაღდი ფულის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილების ვარიანტები შეიძლება მოდელის სახით წარმოვიადგინოთ, სადაც ჩართული იქნება ასევე საქონლის დეფიციტის ცვლილებები. მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის მზადებასთან შესაბამისობაში ფულის მასის მოსახლეობის ფენების მიხედვით განაწილების, მისი საქონლის დეფიციტზე. ზემოქმედების მოდელირებისათვის დასაყრდენ აღნიშვნებს, შემდეგი მსჯელობის საფუძველზე წარმოვადგინოთ:

ვთქვათ p რაოდენობის სხვადასხვა საქონლისაგან შემდგარ ჯგუფზე მოთხოვნისა და მიწოდების ვექტორებია შესაბამისად $a = (a_1; a_2; \dots; a_n)$ და $b = (b_1; b_2; \dots; b_n)$, სადაც a_k აღნიშნავს მოთხოვნას k -ურ საქონელზე, ხოლო b_k მიწოდებას k -ური მიმწოდებლისაგან. იგულისხმება, რომ a_k და b_k წარმოდგენილია ერთი და იგივე მიცულობით ერთეულებში.

1. მოსახლეობა ჯერ კიდევ მეტწილად დამოკიდებულია არარეგულარულ შემოსავალზე, ვიდრე ხელფასზე; საბანკო სისტემაში არსებული მდგომარეობის გამო, ფინანსების მოძირობა ძირითადად ნაღდი ფულით მიმდინარეობს. ასეთ პროცესში სუბიექტურ შეფასებათა წილი ჯერ კიდევ მაღალია [1, გვ. 5-11].

როდესაც $a_k > b_k$, მაშინ k -ური საქონელი დეფიციტია და როცა მოცემული ეკონომიკურ გარემოში საქონლის წარმოების დაწყება ზარალიანია, მაშინ ასეთი საქონელი დეფიციტია. საქონლის ჯგუფისათვის შემოვიტანოთ დეფიციტურობის დონის შეფასება (r), რომელიც წარმოადგენს $h_1; h_2; \dots; h_p$ -ს, საშუალო არითმეტიკულს, სადაც $h_k = a_k - b_k$ $k=1, p$; [4].

როდესაც $r > 1$, მაშინ დეფიციტურობას არა აქვს ადგილი. თუმცა მოსალოდნელია ცალკეული საქონელი ამ ჯგუფიდან იყოს დეფიციტი [6]. გარკვეულობისათვის, შეიძლება მივიანშინოთ, რომ r -ის 0.7-ისა და 0.9-ის მახლობლობაში გვაქვს დეფიციტურობა, როცა r ახლოსაა 0.5-თან, 0.4 და 0.6-თან, მაშინ დეფიციტურობა მწყვევა.

დეფიციტურობის დონის მოცემული შეფასება ელემენტარულობის გარდა იმბოთაც არის აღსანიშნავი, რომ ყოველი საქონლის დეფიციტის შეფასების გადახრის კედრადტა ჯამი ყველა p საქონლის მიხედვით ოპტიმალურია.

წარმოვადგინოთ მოსახლეობის ფენების მიხედვით (მდიდრები, საშუალო ფენა, ღარიბები) ნაღდი ფულის განაწილების ვარიანტები, რაც დაეკავშირეთ მოსახლეობის მოთხოვნასთან ზემოთ გამოყოფილი საქონლის ჯგუფისა და დეფიციტურობის დონის შეფასების მიხედვით. ამასთან ერთად განვიხილოთ მოსახლეობის სტრუქტურა, რაც თავის მხრივ დაეკავშირეთ მოსახლეობის ყოველი ფენის მიხედვით ფულის მასის განაწილებას (მოსახლეობის ერთ სულზე ან ოჯახზე). ამ მხრივ დამოკვეთ საორიენტაციო ვარიანტები:

1. ფულის უდიდესი რაოდენობა მოსახლეობის მდიდარ ფენაზე მოდის. ამიტომ მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ შეიძინონ საქირა საქონელი. ხოლო დანარჩენი საქონელი აღმოჩნდება ჭარბი, რადგან მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებს საქირა საქონლის შექმნა არ შეუძლია. ამ ვარიანტისას იქმნება საქონლის ჯგუფის სიჭარბის ილუზია. შესაბამისად $r > 1$.

2. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გააჩნია ფული ისე, რომ მათ შეუძლიათ შეიძინონ საქირა საქონელი, თუმცა საქონლის მიწოდება და ფულის რაოდენობა იგივეა რაც წინა ვარიანტში, როდესაც საქონელზე მოთხოვნის მაჩვენებელი a_k , $k=1, p$ გაიზარდება ამ შემთხვევაში მივიღებთ, რომ r ე.ი. საქონელი დეფიციტია. შეიძლება იგივე ფულის სხვა ისეთი განაწილების შემთხვევაც შეგვარჩიოთ, როცა $r = 0.5$, რაც დეფიციტურობის სიმწვავესაც ნიშნავს.

ამ ვარიანტიდან ამჟამად ის, რომ მოსახლეობის ფენების მიხედვით ფულის მასის ერთი განაწილებიდან მეორეზე გადასვლისას იცვლება საქონლის დეფიციტურობის დონე. ფულის მასის უდიდესი ნაწილის თავმოყრისას მოსახლეობის მცირე ნაწილში საქონლის დეფიციტს არ ექნება ადგილი, ხოლო ფული საერთოდ მოსახლეობისათვის იქნება დეფიციტი. სხვა შემთხვევებში როდესაც იგივე ფულის მასა თითქმის თანაბრადაა განაწილებული მოსახლეობაში, მაშინ ადგილი ექნება საქონლის დეფიციტს. ამის შესაბამისად შეიძლება აზრობრივად გამოვიყოთ სხვადასხვა შესაძლო ვარიანტები, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ იმას, რომ ფულის მასის განაწილება-გადანაწილების შესაბამისად მიმდინარეობს მოთხოვნის ტრანსფორმაცია, როდესაც თვისობრივად იცვლება სურათი პროდუქტის ჰარბზარმოებიდან დეფიციტურობისაკენ ან პირაქით (იხ. ცხრილი 1).

ამ შემთხვევიდან შეიძლება ცალკე გამოვიყოთ ფულის მასის დეფიციტი. თუმცა მისი უჯულებელყოფა საერთო პროცესში არ შეიძლება. ფორმალურად თითქოს ადგილია ფულის მასის დეფიციტის გამოსწორება, მოსახლეობის ფენების მიხედვით ფულის მასის გადაწილებით. შინაარსით იგი უფრო რთულია, რადგან ამისათვის აუცილებელია ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ფულის მასის მოსახლეობის ფენებში განაწილების სტრუქტურის მცირე ცვლილებები ამ პროცესის არამდგრადობის გამო შესაძინე გავლენას ახდენენ საქონლის დეფიციტურობის ფაქტზე.



ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერთა შრომებში [2, 3, 4] ასახულია ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის, სამაშულო მეწარმეობითი საქმიანობის, ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი და ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ცივილიზებული გზების ძიების ძირითადი მიმართულებანი. ნავარაუდევია მეურნეობრიობის მსოფლიო პრაქტიკის გამოცდილებათა გათვალისწინებით 'საკუთარი' კოლექტიური ეკონომიკის მოდელის შექმნა (და არა სხვა ქვეყნების საბაზრო მოდელის იმპორტი) შემუშავება და ქვეყნის ეკონომიკური სუბიექტების პრაქტიკულ საქმიანობაში მისი დანერგვა.

დღისაველთის ეკონომიკური ლიტერატურის ანალოზი მიუთითებს იმაზე, რომ საწარმოების (ფირმების) ორგანიზაციისა და ფუნქციონირების, მათი შემდგომი განვითარების ორ ძირითად პრინციპს გამოყოფენ, კერძოდ:

1. სტიქიური (არარეგულირებადი ბაზრის პირობით) განვითარება.

2. იერარქიული განვითარება

განვითარებული ქვეყნების თანამედროვე ბაზარი, აღნიშნავს რუსი პროფესორი ა. პეტროვი, სასებით არ არის სტიქიური, არამედ არის რეგულირებადი და იგი მიუთითებს ეკონომიკის რეგულირების ორ მდგომარეობაზე: ა) ქვეყნის განვითარების ისტორიული გზების, ქვეყნის კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციისა და ეკონომიკის სტრუქტურის გათვალისწინებით წარმოებს ბაზრის რეგულირება სხვადასხვა ქვეყნებში და ბ) ილწვიან, რათა შენარჩუნებულ იქნეს ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის რეგულირებასა და მათ თავისუფალ მეწარმეობით საქმიანობას შორის თანაფარდობის პრინციპი.

ამერიკელი მეცნიერების ე. დოლანისა და დ. ლინდსეის ნაშრომში 'ვიკროეკონომიკა' მეწარმეობის განვითარების პრინციპებზე აღნიშნულია, რომ 'რეალური ეკონომიკა შედგება ფირმის შიგნით იერარქიული და ფირმებს შორის ურთიერთობების საბაზრო პრინციპებით ორგანიზაციის სინთეზისაგან'. [5; გვ. 288].

საქართველოს ეკონომიკის მიღწეული ღონის, მისი დარგობრივი სტრუქტურის, კერძოდ, აგროსამრეწველო წარმოების თანამედროვე დონე და მისი ეფექტიანობის, ასევე სხვა მაჩვენებლების კრიტიკული შეფასება მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია აგროსამრეწველო სფეროს შემდგომი განვითარების სწორი სტრატეგიული კურსის შერჩევა, ეკონომიკური სუბიექტების განვითარების მოდელისა და პრინციპების ფორმირება. ამ მიზნით ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგად ვასკნით, რომ აუცილებელია:

ა) აგროსამრეწველო მეწარმეობითი საქმიანობის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება,

ბ) აგროსამრეწველო ფირმის სტრატეგიული განვითარების ორგანიზაციული ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება და სამეურნეო პრაქტიკაში სტრატეგიული დაგეგმვის მოდელის გამოყენებისადმი ხელის შეწყობა.

ჩვენი აზრით, აგროსამრეწველო წარმოების სტრატეგიული (პერსპექტიული) დაგეგმვის ძირითად ამოცანებად გვესახება შემდეგი:

1. აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების განსაზღვრა.

2. ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობის შეფასება.

3. უახლოეს პერსპექტივაში საჭირო საწარმოო სიმძლავრეების (ტექნიკური პროგრესის) შეფასება.

4. შესაძლო ინვესტიციების მოცულობების წინასწარი შეფასება.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს მსოფლიოს მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზისა და ჩატარებული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე განსაზღვროს საწარმოს რაციონალური ფუნქციონირების პროცესის მეთოდოლოგია. კერძოდ, აგროსამრეწველო ფირმის საშუალო ვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის (საპროგნოზო პერიოდისათვის) მეთოდოლოგია და წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის ფორმირების პრაქტიკული ასპექტი.

აგროსამრეწველო ფირმა საბაზრო ურთიერთობების პირობებში დამოუკიდებლად ახორციელებს:

ა) სამეურნეო საქმიანობის ყველა მაჩვენებლის დაგეგმვას,

ბ) აწარმოებს მარკეტინგულ საქმიანობას,

გ) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციას,

დ) შრომითი რესურსების ფორმირებასა და კადრებზე მოთხოვნის განსაზღვრას,

ე) შედის სხვადასხვა ფორმისა და სახის გაერთიანებაში და ა.შ.

აგროსამრეწველო ფირმის სტრატეგიული დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის საქმეში მნიშვნელოვანია დაგეგმვის ისეთი მეთოდოლოგია და ფორმის შერჩევა, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირმის გადაწყვეტილებათა მაქსიმალურ ეფექტიანობას. ასეთ პროგრესულ ფორმად გვევლინება ბიზნესის პრაქტიკაში კარგად აპრობირებული საწარმოს ბიზნეს-გეგმა. იგი წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის განსაზღვრულ მდებარეობას და საბაზრო ეკონომიკაში მიღებული კატეგორიების (ბიზნესის, მარკეტინგის, კონკურენტული ბრძოლის, კომერციული რისკის, ფინანსური სტრატეგიის და ა.შ.) განსაზღვრაში გამოიყენებს ბიზნესის სფეროში ცნობილ და სამეწარმეო პრაქტიკაში აპრობირებულ დაგეგმვის ტრადიციულ მეთოდებსა და ხერხებს.

ცნობილია, რომ ბიზნესის სფეროში წარმატებებს ძირითადად განსაზღვრავს სამი ელემენტის არსებობა, კერძოდ:

1. მოცემულ ეტაპზე მეწარმეობითი საქმიანობის საერთო მდგომარეობის ცოდნა (ექსპერტული შეფასება).

2. ბიზნესის მიზნის მიღწევის სამომავლო დონის განჭვრეტა.

3. ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაზე გადასვლის დაგეგმვა.

ფირმის ბიზნეს-გეგმა ზემოთ აღნიშნულ ელემენტებს ასახავს. იგი წარმოადგენს წარმოების მართვისა და კონტროლის ინტერუმენტს. ბიზნეს-გეგმის მეშვეობით ხორციელდება არა უბრალოდ მოვლენებზე რეაგირება, არამედ იგი იძლევა მართვის შესაძლებლობას წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე.

ბიზნეს-გეგმის შედგენილობას, მის სტრუქტურასა და მოცულობას განსაზღვრავს საწარმოს საქმიანობის სპეციფიკურობა, სიდიდე და გეგმის შედგენის მიზან-ამოცანები. ასე მაგალითად, ბიზნეს-გეგმის სტრუქტურების ფორმირებას განსაზღვრავენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა: გასაღების ბაზრის მოსალოდნელო სიდიდე, კონკურენტების არსებობა და ახლად დაფუძნებული საწარმოს ზრდის პერსპექტივა.

გასაღების პროგრამის შემუშავება ბიზნეს-გეგმის ფორმირების ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპია. ჩვენს სამაშულო ეკონომიკაში, სადაც მოშლილია ადრე არსებული სამეურნეო კავშირები, როგორც გამოკვლევები უჩვენებენ, საწარმოების უმრავლესობა მიმართავს ისეთი საქონლის (მომსახურების) წარმოებას, რომლებიც მოთხოვენ მნიშვნელოვან კოოპერირებას სხვა ქვეყნების სუბიექტებთან ან მათი (საქონლის) წარმოება როცა შესაძლებელია ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების მეშვეობით. ასეთი მეწარმეობითი სტრატეგია არ შეიძლება



განხილული იქნეს, როგორც უნივერსალური. აქედან გამომდინარე, საწარმოებში უნდა განახორციელონ ისეთი საინვესტიციო. პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფენ წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობას, როგორც საღმრთისოდ, ასევე მომავალშიც ქვეყნის საშინაო და საგარეო ბაზრებზე.

რა განაპირობებს საქონლის კონკურენტუნარიანობას და რაზე დამოკიდებული კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა?

თანამედროვე კონკურენტუნარიანობის თეორიაში, რომელმაც განვითარება პპოვე პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის მაიკლ პორტერის ნაშრომში [7, 26], კონკრეტული უპირატესობის მოპოვების ორი ტიპის შესაძლებლობებს გამოყოფენ:

- ა) "უფრო დაბალი დანახარჯები" და
- ბ) "სპეციალიზაცია".

"უფრო დაბალი დანახარჯების" ქვეშ იგულისხმება ფირმის შესაძლებლობანი შემქმნას ანაბაზოლს და გაასაღდს საქონელი უფრო დაბალი დანახარჯებით, ჭედრე ამას აღწევენ კონკურენტები.

"სპეციალიზაცია" კონკრეტულ უპირატესობის მიღწევაში გულისხმობს კონკურენტების ჯგუფში "გამორჩევის ხელშეწყობას" ანუ მიაწოდოს მომხმარებელს საქონელი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხით ან უნივერსალურობით, რომელიც რეალურად აინტერესებს მომხმარებელს.

კონკურენტების დიაპაზონის გათვალისწინებით კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის სტრატეგიის ძირითადი ტიპები ერთიანობაში გამოხატულია პირველი ნახაზით.

| | | | |
|----------------------|-------|--|-----------------------------------|
| | | კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის სახეები | |
| | | "უფრო დაბალი დანახარჯები" "სპეციალიზაცია" | |
| კონკურენტუნარიანობის | ვიწრო | დანახარჯებზე უფრო | არჩევითი სპეციალიზაცია |
| | (A) | A_1 | A_2 |
| დასრულებული | ფართო | ორიენტირებულ დანახარჯებზე | "შინადაზოგა და ხარისხის ლიდერობა" |
| | (B) | B_1 | B_2 |

ნახ. 1. კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის დაგეგმვის პროცესი

ბუნებრივია, ფირმამ კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ზემოთ აღნიშნული (ნახ. 1) კონკურენტული უპირატესობის რომელიმე სახეზე (ან კომბინირებულ სახით) დაყრდნობით უნდა ამოიჩიოს მისთვის უფრო საიმედო სტრატეგია.

ავტორის აზრით, ფირმის საქმიანობის საწყის ეტაპზე უფრო მისაღებია ვარიანტები: A_1 , B_1 ("უფრო დაბალი დანახარჯებით"), ხოლო მომდევნო ეტაპზე საიმედო სტრატეგიად გვესახება ვარიანტები: A_2 , B_2 ("სპეციალიზაცია") შესაბამისად, ფირმამ მოცემულ პირობებში, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უნდა გააკეთოს არჩევანი ბიზნესის მთავარი მიზნის მიღწევის მიზნით საქონლის გარკვეულ ასორტიმენტის წარმოებაზე.

საწარმოს მთავარი მიზნის არჩევის შემდეგ ეტაპზე ბიზნეს-გეგმაში ასახვა უნდა პოვის მარკეტინგის სტრატეგიამ. ფირმის მარკეტინგის გეგმაში მნიშვნელოვანია კომერციული სტრატეგია და ფასწარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრა.

ფირმის მიერ წარმოებულ საქონელზე საბაზრო ფასის ფორმირების ქაროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს: ფასწარმოქმნის ამოცანის დასმა, მოთხოვნის სიდიდის განსაზღვრა, დანახარჯების შეფასება, კონკურენტების საქონლის ფასების ანალიზის წარმოება, ფასების დაგეგმვის მეთოდის შერჩევა, საბოლოო ფასისა და მომავალში შესაძლო ცვლილებების შეტანის წესების დადგენა, სახელმწიფოს მიერ ფასების რეგულირების მომენტის გათვალისწინება.

ფასწარმოქმნის პოლიტიკაში გასათვალისწინებელია მარკეტინგის ერთ-ერთი ფუნდამენტური თეორიის - საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორია, რომელიც მოიცავს საქონლის ბაზარზე არსებობის ახალგაზრდობის, სიმწიფის, დაბერებისა და სიკვდილის ეტაპებს. თითოეულ ეტაპზე ფასების ფორმირებასაღმადი დამოკიდებულება აჩვენებურა. გადაწყვეტილებათა მიღებას საჭიროებს.

ფასების სტრატეგიის განსაზღვრაში გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის პროცესები. ფასების კორექტირებას ინფლაციის გათვალისწინებით ახდენენ მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში დამკვიდრებული შემდეგი ფორმულის გამოყენებით. კერძოდ:

$$P_t = P_0 \cdot (A \cdot a_t / a_0 + B \cdot r_t / r_0 + B)$$

სადაც P_t - საქონლის ფასია, მისი მყიდველზე ფაქტობრივად მიწოდების მომენტში.

P_0 - საქონლის ფასია, მის მიწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში. A , B და B - მიწოდების ხელშეკრულება გაფორმების მომენტში საქონლის ფასში მასალების (ნედლეულის) - A , შრომის ანაზღაურების - B და დანარჩენი დანახარჯების - B ხვედრითი წილებია, შესაბამისად.

a_t , a_0 - შესყიდული მასალების (ნედლეულის) საშუალო ფასი. შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებისა და ფაქტობრივად საქონლის მიწოდების მომენტში.

r_t , r_0 - საწარმოს მუშაკთა შრომის საშუალო ანაზღაურება. შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებისა და ფაქტობრივად საქონლის მიწოდების მომენტში.

ფასების ფორმირების ბოლო ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს ფირმის რენტაბელობის მაჩვენებელზე ქვეყნის არაბალანსირებადი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მიერ ფასების ლიმიტირებისა ან ფასების დონის რეგულირების სხვადასხვა ღონისძიებების გატარება.

მიკროეკონომიკური დაგეგმვის საბოლოო ეტაპზე ყალბდება საფინანსო სტრატეგია. ფირმის საფინანსო გეგმა მოიცავს რამდენიმე დოკუმენტს, რომელთა განსაზღვრა მაქსიმალური ყურადღების ხარისხით უნდა წარმოებდეს მათ შორის გამოყოფენ:

1. რეალიზაციის (გაყიდვების) მოცულობის პროგნოზირებას.
2. ფულადი სახსრების შემოსავლებისა და გასავლების ბალანსს.
3. შემოსავლებისა და დანახარჯების ნაერთ ცხრილებს.
4. საწარმოს აქტივებისა და პასივების ნაერთ ბალანსს.
5. მოგების მაჩვენებელია ფორმირების (რენტაბელობის) გრაფიკს.

საწარმოს დაფინანსების სტრატეგიაში გამოიხატება საინვესტიციო პროექტის ღირებულება. საინვესტიციო სახსრების მიღების წყარო და ფორმები. კაპიტალურ დაბანდებათა უკუგება და საინვესტიციო დივიდენდების მაჩვენებელი. ბუნებრივია, ფირმის საფინანსო გეგმა აიგება მარკეტინგული კვლევების, მარკეტინგული გეგმის (პროგნოზირების) საფუძველზე და გამომდინარეობს ფირმის საწარმოო გეგმის შესაძლებლობებიდან.

აგროსამრეწველო ფირმის ბიზნეს-გეგმის ძირითადი ნაწილის საწარმოო პროგრამის (გეგმის) შედგენის მეთოდთა შემდეგი ელემენტების ფორმირებას მოითხოვს:

1. ტექნოლოგიის უზრუნველყოფილობა.
 ტექნოლოგიის უზრუნველყოფილობა;
 დანახარჯები ტექნოლოგიების შექმნაზე და მის შექმნაზე.
2. საწარმოო ბაზა.
 საწარმოო ფართობების, დანადგარების არსებობა;
 საწარმოო ბაზის განვითარების წყაროები, ფორმები და ვადები;
 საწარმოო პროცესის (ტექნოლოგიების) დახასიათება.
3. სუბმოიჯარეები.
 სუბმოიჯარეების არსებობა და მათი საიმედოობა;
 სუბმოიჯარეებთან კონტაქტების განაწილება დროის მიხედვით;
 'უბმოიჯარეებზე ხარჯების დახასიათება.
4. ნედლეულითა და ენერჯით უზრუნველყოფილობა.
 საკუთარი სანედლეული ბაზის დახასიათება და მისი ზრდის პერსპექტივა;
 ნედლეულისა და ენერჯის მომწოდებლები, მიწოდების საიმედოობა;
 მოწოდების გაფართოების შესაძლებლობანი;
 საკუთარი წარმოების ნედლეულის თვითღირებულების კალკულაცია;
 ნედლეულზე და ენერჯიაზე დანახარჯების გაანგარიშება.
5. შრომითი რესურსები.
 შესაბამისი კვალიფიცირებული სამუშაო ძალის არსებობა;
 სამუშაო ძალის მიზიდვის ფორმა;
 შრომით რესურსებზე დანახარჯები.
6. ხარისხზე კონტროლის დაწესება.
 ხარისხზე კონტროლის ჩატარების ფორმები;
 ხარისხის უზრუნველყოფაზე დანახარჯები.
7. ხარჯების პროგნოზირება.
 წარმოების სავარაუდო მოცულობა და დანახარჯების პროგნოზირება.
8. მუდმივი და ცვალებადი საწარმოო დანახარჯები.
 მუდმივი საწარმოო დანახარჯები.
 ცვალებადი საწარმოო ხარჯები (წარმოების მოცულობის პროპორციული).
9. საწარმოო საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები.

რეალობის (გაყიდვების) მოცულობების პროგნოზირება;
 საერთო მოგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების განსაზღვრა;
 გადასახადებისა და ანარიცხების გაანგარიშება.

აქვე აღინიშნავთ, რომ ბიზნეს-გეგმის შედგენის მიზნიდან გამომდინარე (ინვესტიციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საფინანსო პარტნიორობა, პარტნიორების მოზიდვა და ა. შ.). მისი ცალკეული განაყოფების ფორმირებას კონკრეტიზაციის მაღალი ხარისხით აწარმოებენ.

გეგმის რეგიონებში ადგილობრივი რესურსების (მიწის, შრომითი და სხვა) ათვისებისა და ამავე ბაზაზე ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიჩნეულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. უპირველეს ყოვლისა, სანედლეული და შრომითი რესურსების ათვისება-გამოყენების, შიგნით-სამომხმარებლო ბაზრის გაფართოების პრობლემების გადაწყვეტისა და ადგილობრივი სამეწარმეო ინიციატივის, ამოქმედების მიზნით, ნავარაუდევია, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ამ მიზნით იმერეთის რეგიონის თერჯოლის რაიონში შეიქმნა და ფუნქციონირებს მრავალდარგოვანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

აგროსამრეწველო ფირმა "ბერმუხა", რომელიც გეგმავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვით საკუთარი წარმოების (იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე) მარცვლეულის (ხორბლის), შაქრის ჰარხლისა და სხვა სახის ნედლეულის ბაზაზე გადამამუშავებელი წარმოების განვითარებას. ფირმის სამეწარმეო ინიციატივა უნდა განვიხილოთ, როგორც ქვეყანაში აგროსამრეწველო მეწარმოებითი საქმიანობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული ბიზნეს-გეგმის ფორმირების მეთოდის საფუძველზე შემუშავებული ბიზნეს-გეგმის (საინვესტიციო ხარჯების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების) მოკლე ვარიანტის პრაქტიკული ასპექტის (იხ. ცხრილი 1) ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ წინამდებარე პროექტის ვარიანტის განხორციელებით მიიღწევა აგროსამრეწველო ფირმის "ბერმუხა"-ს მაქსიმალურად ეფექტიანი ფუნქციონირება.

აგროსამრეწველო ფირმა "ბერმუხა" ბიზნეს-გეგმა (მოკლე ვარიანტი)

(მარცვლეულის (ხორბლის) გადამამუშავებელი საწარმოს - წისკვილის MMB-50 მოდელის) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ინვესტიციის მოზიდვის მიზნით)

ცხრილი 1

| N | მაჩვენებლის დასახელება | მაჩვენებლის სიდიდე |
|-------|--|--------------------|
| 1 | განგარიშებისათვის საწყისი მონაცემები: | |
| 1.1 | წისკვილის (MMB-50 მოდელის) კომპლექსის ღირებულება (ლარი) | 670000 |
| 1.2 | ლიზინგური დაფინანსების (კრედიტის) სარგებლის ნორმა (%) | 24 |
| 1.3 | წისკვილის საპროექტო წარმადობა (მარცვლეულის გადამამუშავება) კგ/სთ | 2100 |
| 1.3.1 | პროექტში ნაჩვენებ საკუთარი წარმოების ხორბლის გადამამუშავებელი წლოური რაოდენობა (ტონა) | 4200 |
| 1.4 | ფქელის (მზა პროდუქტის) გამოსავლიანობა %: | |
| 1.4.1 | უმაღლესი ხარისხის | 40-45 |
| 1.4.2 | პირველი ხარისხის | 30-35 |
| 1.4.3 | მეორე ხარისხის | |
| 1.4.4 | ანაცერი-ქატო | 25 |
| 1.5 | პროდუქტის სავარაუდო სარეალიზაციო ფასები (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით) (ლარი/კგ) | |
| 1.5.1 | უმაღლესი ხარისხის | 0.40 |
| 1.5.2 | პირველი ხარისხის | 0.32 |
| 1.5.3 | ანაცერი-ქატო | 0.18 |
| 1.6 | სახნავი სასოფლო-სამეურნეო სავარგული (იჯარით) ჰა | 2500 |
| 1.7 | სავალდებულო ნათესების სადაზღვევო გადასახადები (ლარი/ჰა) | 10 |
| 1.8 | მუშაკების რიცხოვნობა მარცვლეულის წარმოებაზე და შენახვაზე (კაცი) | 33 |
| 1.9 | მარცვლეულის (ხორბლის) საშუალო წლოური მოსავალი (ტონა) | 4200 |

| N | მაჩვენებლის დასახელება | მაჩვენებლის სიდიდე |
|------|--|--------------------|
| 1.10 | საკუთარი წარმოების ხორბლის თვითღირებულება (ლარი/კგ) | 0.13 |
| 1.11 | დადგმული ელექტროსიმძლავრეები (105 კვტ/სთ) და 1კვტ/სთ ღირებულება (ლარი) | 0.045 |
| 2 | სამუშაო დროის ფონდი (თვეზე გაანგარიშებული) სთ (22სამუშ. დღე*8 სთ = 352 სთ.) | 352 |
| 3 | ნედლეულის (ხორბლის) ღირებულება თვეში (ლარი) (4200ტ:12თვე)=350ტ*0.13ლ=45500ლარი | 45500 |
| 4 | ელექტროენერჯის მოხმარება და დანახარჯები თვეში (ლარი) (105კვტ/სთ *352სთ=36960კვტ/სთ*0.045ლარი=1663ლარი | 1663 |
| 5 | ძირითადი ფონდების (მოწყობილობა-დანადგარები) ამორტიზაცია (669564ლარი*0.125ამორტ.ნორმა=83690ლარი:12თვე=6964ლარი) | 6964 |
| 6 | შრომის ანაზღაურების თვიური ფონდი (ქარხნის ექსპლუატაციაზე) (ლარი) (160ლარი საშ. ხელფ.*3კაცი*ცვლა=960ლარი) | 960 |
| 7 | სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების ფონდების ანარიცხები (960ლარი*0.31ანარიცხ.ნორმა=298ლარი) | 298 |
| 8 | დანარჩენი პირადი ხარჯები (ლარი) | 1600 |
| 9 | ზენდადები ხარჯები (ლარი) | 750 |
| 10 | დანახარჯების ჯამი (ფქვილის წარმოებაზე) თვის განმავლობაში (ლარი) | 57735 |
| 11 | კომერციული ხარჯები თვეში სულ (ლარი) | 1985 |
| | მათ შორის: მუდმივი ხარჯები | 1085 |
| | ცვალბადი ხარჯები გაყიდვებზე (რეკლამა და ა. შ.) | 900 |
| 12 | რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულება თვეში (ლარი) (3.10+3.11=57735+1985) | 59720 |
| 12.1 | რეალიზებული წლიური პროდუქციის თვითღირებულება (ლარი) (59720*12თვე=716640ლარი) | 716640 |
| 13 | გაყიდვების საპროცენტო მოკულობა თვეში (ლარი) | 110960 |
| 13.1 | წლიური გაყიდვების (რეალიზაციის ღირებულება) თანხა (ლარი) (110960ლარი*12თვე=1331520ლ) | 1331520 |
| 14 | დამატებული ღირებულების გადასახადი (დღე) 20% (ლარი) | 266304 |
| 15 | წლიური მოგება რეალიზაციიდან (ლარი) (1331520-266304-716640=348576ლარი) | 348576 |
| 16 | მოზიდული სასხრების (ინვესტიციების) დაფარვის დაფინანსება (ლარი) | 345036 |
| | მათ შორის: | |
| | კრედიტის წლიური თანხა (ლარი) | 204710 |
| | კრედიტის სარგებლის (24%) წლიური გადასახადი (ლარი) | 140326 |
| 17 | გადასახადები შემოსავალზე (პირველი წელიწადის ფირმის შემოსავლები დაბეგრას არ ექვემდებარება) | |
| 18 | საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგება (პირველი წელიწადი) (ლარი) (348576-345036=3540ლარი) | 3540 |

წინამდებარე ბიზნეს-გეგმის ანალიზი მოწმობს, რომ აგროსამრეწველო მეწარმეობით საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები ფირმაში "ბერძენა" ძირ-

თადად მიღწეულ იქნება ახალი ტექნოლოგიის დანერგვისა (უმაღლესი და პირველი ხარისხის ფქვილის გამოსავლიანობის მაღალი დონე - 70-80%-მდე) და ადგილობრივი შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების ხარჯზე.

მოზიდული ინვესტიციების უკუგების მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით, ქვემოთ მოყვანილია აგროსამრეწველო ფირმა "ბერძენი" შემოსავალ-გასავლების მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 2).

აგროსამრეწველო ფირმა "ბერძენი" შემოსავალ-გასავლების მაჩვენებლები (ათას ლარებში)

ცხრილი 2

| N | მაჩვენებლების დასახელება | 1997წ. | 1998წ. | 1999წ. |
|---|--|--------|--------|--------|
| 1 | რეალიზაციიდან შემოსავლები | 1331.5 | 1331.5 | 1331.5 |
| 2 | დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) | 226.3 | 226.3 | 226.3 |
| 3 | შემოსავლები რეალიზაციიდან დღგ-ს გარეშე | 1065.2 | 1065.2 | 1065.2 |
| 4 | პროდუქციის სრული თვითღირებულება (საერთო ხარჯები) | 716.6 | 716.6 | 716.6 |
| 5 | საერთო მოგება | 348.6 | 348.6 | 348.6 |
| 6 | საინვესტიციო ხარჯების დაფარვა (ბანკის კრედიტი სარგებლის გადასახადის ჩათვლით) | 345 | 310.4 | 256.8 |
| 7 | გადასახადები შემოსავალზე | | 34.3 | 69.7 |
| 8 | ფირმის განკარგულებაში დარჩენილი მოგება | 3.6 | 3.9 | 22.1 |

მოზიდული სახსრების უკუგების (ამოსყიდვის ვადა - T) მაჩვენებლის განსაზღვრა წარმოებს შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$T_{\text{ამოსყ. ვადა}} = k / (A_{\text{ამორტ.}} + P_{\text{მოგება}})$$

სადაც k - კაპიტალურ დაზარდებათა ღირებულება, ათასი ლარი

A_{ამორტ.} - წლოური საამორტიზაციო ანარიცხები, ათასი ლარი

P_{მოგება} - წლოური მოგება, ათასი ლარი

აგროსამრეწველო ფირმის შესაბამისი მაჩვენებლების (ცხრ. 2) გამოყენებით ინვესტიციების ამოსყიდვის ვადა შეადგენს $(670.0 / (83.7 + 348.6)) \cdot 1.6\%$. ე. ი. ერთ წელიწადსა და ექვს თვეში ინვესტიციების უკუგება შესაძლებელი გახდება. ფირმის საქმიანობის დაწყებიდან მისი ლიკვიდურობა მეტყველებს საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობაზე.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის აგროსამრეწველო სფეროს მიკროდონეზე სტრატეგიული დაგეგმვის ორგანიზაციის სრულყოფილი სისტემის ფორმირება და ეკონომიკური სუბიექტების სამეწარმეო პრაქტიკულ საქმიანობაში ბიზნეს-გეგმის დამკვიდრება, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას.

ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი მეწარმეობის შესახებ (1997 წლის 5 იანვრის მდგომარეობით) "სამართალი", თბილისი, 1997
2. ვაშაყიძე ო., საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარე ცვლილებები და მისი სრულყოფის მიმართულებები, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების სკი, შრომების კრებული, ტ.1, თბილისი, 1996, გვ. 327-359
3. ა. თეთრაული, საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებები, "მაცნე", თბილისი, 1992
4. ნ. ჭითანავა, საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების თეორიისა და ორგანიზაციის პრობლემები, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების სკი, შრომების კრებული, ტ.1, თბილისი, 1996, გვ. 7-32
5. Долан Э.Дж., Линдсей Д. *Микроэкономика* (пер. с англ. Лукашевича В. и др.), С-Петербург, 1994
6. Липартия З. Ш., *Экономика фирмы и бизнес-план (Микроэкономика, часть II)*, Изд. ТГУ, Тбилиси, 1995, 190 с.
7. Пулих А.С., *Бизнес-план*. М. "ОС6-89", 1997, 96 с.
8. Петров А.Н., *Стратегическое планирование развития предприятия; учебное пособие*. СПб, СПбУЭР, 1993, 106 с.

Strategic Planning of Agroindustrial Production

Lipartia Zurab

Sukhumi branch of I. Javakhishvili

State University of Tbilisi

12, Djikia str.

Tbilisi 380086

Georgia

Summary. The conversion to market relations is accelerated and it is irreversible in Georgia. The microeconomic planning is a necessary component of a market system.

The planning of the activity of a firm is a complex of scientific research, organization, economic, legal and managing measures by working out of the effective production-marketing strategy of a firm and its realization in market conditions.

The necessity of renovation of methodological and organization bases of the "traditional" plan in conditions of the conversion to market economics is based in the work. A special attention is given to the use of a business-plan in process of the production-economic activity of a firm. The diagram

of carrying out of business-plan of agroindustrial production is given in the following sequence: the segmentational analysis of means of production and its effectiveness; the analysis of life cycle goods and demand for goods; the working out of strategy of competitive ability and the definition of a price-formation policy; the definition of a financial strategy of a firm by the analysis of indexes of liquidation of a firm and the effectiveness of the investment programme.

Стратегическое планирование агропромышленного производства

Липартия Зураб

380086, Тбилиси, Дзидиашвили 12

Сухумский филиал Тбилисского

государственного университета им. И.Джавахишвили

Резюме. Переход к рыночным отношениям в Грузии ускорится и стал необратимым. Стратегическое планирование является необходимой составной частью рыночной системы.

Планирование деятельности фирмы представляет собой комплекс научно-исследовательских, организационных, экономических, правовых и хозяйственных мероприятий по выработке эффективной производственно-бытовой стратегии фирмы и ее реализации в условиях рынка.

В труде обоснована необходимость обновления методологических и организационных основ "традиционного" плана в условиях перехода к рыночной экономике. Особое внимание уделяется использованию бизнес-плана в процессе производственно-хозяйственной деятельности фирмы. Предложена схема проведения бизнес-планирования агропромышленного производства в следующей последовательности: сегментационный анализ возможностей производства и его эффективности; анализ жизненного цикла товара и спроса на товар; выработка стратегии конкурентноспособности и определение политики ценообразования; определение финансовой стратегии фирмы с анализом показателей ликвидности фирмы и эффективности инвестиционной программы.

წესები ავტორთათვის

1. ჟურნალში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "მაცნე" ეკონომიკის სერია, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე მოწინავე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრეთვე იმ კონფერენციების, სხდომებისა და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები, რომლებიც რესპუბლიკაში ტარდება.

2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის მიერ, თანაავტორობის შემთხვევაში კი - ყველა თანაავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ზარისხის და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ტელეფაქსის, ტელექსის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდი ტექსტის 24 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 2 ინტერვალთ. მარცხენა მხარეს დატოვებული უნდა იყოს 4 სმ სივანის მინდორი.

რეზიუმე, გამოყენებული ლიტერატურის სია, ცხრილები და ნახატების მიწვევები სრულდება ცალკე ფურცელზე.

მოკლე მოხსენებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს.

რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ეგზემპლარად. ხელნაწერის ყოველი გვერდი, ლიტერატურის სის ჩათვლით, უნდა იყოს დანომრირებული.

4. ილუსტრაციები (ორ ეგზემპლარად) ცალკე უნდა ახლდეს ნაშრომს. ნახაზები და გრაფიკები შესრულებული უნდა იყოს მკაფიოდ ტუშით, კალკაზე ან მილიმეტრიან ქაღალდზე. ფანქრით შესრულებული, ტექსტში ჩახაზული, ან ხელნაწერზე დაწებებული ნახაზები არ მიიღება. აუცილებლად უნდა მიეჭკვეს ყურადღება აღნიშნების იდენტურობას ტექსტში და ნახაზზე. ყველა მინაწერი, რომელიც ფარავს ნახაზს უნდა შეიცვალოს ციფრობრივი, ან ასოით აღნიშვნით, განმარტებები კი ჩამოტანილი იქნეს ნახაზის მინაწერიში.

5. ყოველი ილუსტრაციის მერე მხარეს აღნიშნული უნდა იყოს მისი რიგობრივი ნომერი და ავტორების გვარები.

6. ფორმულები და განმარტებები თუ ჩაწერილია ხელით უნდა შესრულდეს გარკვევით. ინდექსის ჩაწერისას კარგად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან შტრიხი, ერთიანი და მძიმე. ფორმულების ჩაწერისას კარგად უნდა ჩანდეს განსხვავება დიდ და პატარა ასოებს შორის; თუ მათ ერთნაირი მოხაზულობა აქვთ დიდ ასოს ფანქრით უნდა გავუსვით ხაზი ქვემოდაც (მაგ. X). გამსჯობა ერთ ზუსტად უნდა ჩაწეროს ერთმანეთს მგჯობა ასოები 6 და 9, 1 და 4, ა და 11 და სხვა).

7. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (რეცენზიებში, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს რუბრიკით კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ლიტერატურა დასახელება გვერდის სქოლიოში).

წიგნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი.

საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამომცემბა).

ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახელებისას უნდა აღინიშნოს მისი რიგითი ნომერი (მაგ. [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ჟურნალის) სატიტულო ფურცელს.

8. ავტორთა საყურადღებოდ რედაქცია აღნიშნავს, რომ სტატიის ტექსტსა და ნახატებს უნდა ჰქონდეს მინაწერი დასაბეჭდად. როგორც წესი კორექტურა ავტორებს არ ეგზავნებათ.

9. სასურველია სტატიაში აღინიშნოს რითი განსხვავდება მიღებული შედეგი ადრე ცნობილისაგან.

10. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში შემოსვლის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დააბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. ჟურნალის ერთ ნომერში შეიძლება ავტორის ერთი სტატიის ან ერთი მოკლე შეტყობინების გამოქვეყნება.

11. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს არ დაუბრუნოს ავტორს ერთი ეგზემპლარი.

12. ხელნაწერები რომლებიც არ უპასუხებს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს რედაქციის მიერ არ მიიღება.

INSTRUCTION TO AUTHORS

1. The journal "Proceedings" of the Georgian Academy of Sciences: Economic Series publishes articles in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars etc. held in the Republic.

2. An original article sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and telex.

3. Volume of an article, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 24 typewritten lines with double spacing. On the left hand side 4 cm margins should be left.

Summary, list of references, tables and signs under illustrations should be submitted separately.

A volume of short notes should not exceed 7 typewritten lines.

Two copies of papers should be sent to the publisher. All pages of manuscripts, including references should be numbered.

4. Illustrations (two copies) should be submitted separately.

Drawings and drafts should be filled legibly with indian ink on tracing paper or squared paper. Drafts in pencils, drawn in texts or pasted onto manuscripts are not accepted. It is necessary to keep an eye on exact accordance of designations in texts and drafts. All legends, overloading drafts should be substituted by figures or letters, explanations of them should be moved to inscriptions under illustrations.

5. On the back of each illustration it's ordinal number and authors' names should be written down.

6. Formulas and designations should be handwritten by ink, legibly, large and loosely. Subindexes should be avoided as far as possible.

When marking indexes it is necessary to differ strokes and numeral-units from commas.

When writing formulas it is necessary to differentiate strictly between small and capital letters. This requirement is applied especially to the letters of the same inscription distinguishing only by their size: capital letters are underlined with line below (for example, \underline{X}).

It is necessary to write carefully the letters looking alike (g and q, l and e, u and n etc.).

7. Literature is listed as a general list at the end of an article (in the reviews published in the section. "Criticism and Bibliography" literature is given in footnotes) in the following order: books, 1st 2nd and 3rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year of publication.

Journal articles: books, 1st, 2nd, 3rd names of the author, articles's title, year of publication, volume, issue.

Literature is listed following the sequence of references in the text of an article. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic discription of each title in the list of literature must correspond strictly to the title-page of a book or a journal.

8. The editorial staff calls your attention to the fact that a typed text and drawing ready for type-setting signed "ready for printing" and proof-sheets for reading, as a rule, are not sent back to authors.

9. It is advisable to mention in an article the distinctive features of the given result from all the others already known.

10. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration. In one issue of a journal only one article or one brief report of an author is published.

11. In case of a refusal to publish an article, the editorial staff reserves the right not to return one copy of an article to author.

12. The manuscripts not meeting these requirements are not taken for consideration by editorial staff.

ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

1. В журнале "Известия" АН Грузии: серия экономическая публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки.

Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, совещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятиях, проводимых в республике.

2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства - всеми соавторами с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученой степени и звания, полного почтового адреса и телефонов, телефаксов, телексов.

3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 24 страниц машинописного текста, отпечатанных через два интервала. С левой стороны оставляются поля шириной 4 см.

Резюме, список использованной литературы, таблицы и подписи к рисункам исполняются на отдельных листах.

Объем кратких сообщений не должен превышать 7 страниц машинописного текста.

გადაეცა წარმოებას 18.5.98 ხელმოწერილი დასაბუქდად 10.5.98 ; ქალაქის
ზომა 70x108 1/16; ქალაქი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 4,9; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,36; ტირაჟი 100; შეკვეთა N 203
ფასი სახელშეკრულებო

საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება "მეცნიერება", თბილისი, 380060, გამრეკლის ქ. 19

40140/3



CONTENTS

| |
|---|
| Sanadze Sergo The Forecast-Analitical Calculations Scheme of the Economical Equilibrium and Models Complex . . . 3 |
| Sarchimelia Roland, Kharebava Kakhaber Influence of Money Supply Distribution on Scarcity of Products 12 |
| Abesadze Ramaz Theoretical Aspects of the Formation of Power Market and its Regulation by the State in Post-Socialist Countries 22 |
| Lipartia Zurab Strategic Planning of Agroindustrial Production . . . 30 |
| Instruction to Authors 41 |

გვ. 6
VOL. 8
TOM 6
N 1-2

1998
76196